ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4189794

ნომერი: AR1589308

თარიღი : 28.03.2018

გაცემის თარიღი : 27.09.2018

გაცნობის თარიღი : 01.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:
- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალიანს-ჯი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო კოკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006001515

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1973622 (N2338270 11/12/2015; N2486394 04/01/2016)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.06.2015

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაია ბუხაიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28 მარტს №AR1589308 განაცხადით მომართა შპს „ალიანსი ჯი“-ს წარმომადგენელმა (2016წლის 10 ივლისის მინდობილობა) მოქალაქე ავთანდილ ნაცვლაძემ, რომელიც ითხოვდა ქ. თბილისში, პურის მოედანი N1, პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემას.

სამსახურის 2018 წლის 30 მარტის № 3893456 ბრძანებით, მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი -კრწანისი), პურის მოედანი N1, პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტი და გაიცა ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. აღნიშნული ბრძანების მე-4 პუნქტით ნებართვის მფლობელს დაევალა ბრძანების გაცნობიდან ორი თვის (42 სამუშაო დღის) ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობის წარმოდგენა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.

2018 წლის 21 მაისს, სამსახურს კვლავ მომართა შპს „ალიანსი ჯი“-ს წარმომადგენელმა და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარით აღება დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებთან და შესაბამის ვადებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანების მე-4 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის კიდევ 6 თვით გაგრძელება.

ზემოაღნიშნულისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად (14.06.2018; ბრძანება №3976379) შევიდეა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებაში და დაევალა დამკვეთს 129 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს მომართა შპს „ალიანსი ჯი“-ს წარმომადგენელმა და წარმოადგინა 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანების მე-4 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 31/08/2018 წლის 31 აგვისტოს №ბ61.011814326 ბრძანება.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნა შესრულებულია და წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტაციას.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. შესრულებულად შპს „ალიანსი ჯი“-ს წარმომადგენელს, სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანების მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და წარმოდგენილი დოკუმენტები დაერთოს შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.